ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3623408

ნომერი: AR1549322

თარიღი : 17.10.2017

გაცემის თარიღი : 20.10.2017

გაცნობის თარიღი : 20.10.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კორახაშვილი პ/ნ 14001004970
- თბილისი ლუბლიანას ქ. N 44 ბ. 36

ორგანიზაცია:
- შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" კოდი: 412670097

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 17 ოქტომბრის AR1549322 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 25 აგვისტოს №2156339 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად.

პასუხად გაცნობებთ რომ 2015 წლის 25 აგვისტოს №2156339 ბრძანება დამტკიცებულია N01.14.06.006.044 და N01.14.06.006.033 საკადასტრო კოდებით დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებისთვის ფართობები: 634 კვ.მ და 7500 კვ.მ (საერთო ფართობი 8134 კვ.მ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N3788 (31.08.15.) ბრძანების საფუძველზე. 2015 წლის 31 დეკემბერს AR1367968 ელექტრონული განაცხადით დაფიქსირებული თქვენივე მოთხოვნის საფუძველზე სამსახურმა განახორციელა 2015 წლის 25 აგვისტოს №2156339ბრძანებაში ცვლილება 2016 წლის 27 იანვარს №2401931 ბრძანებით და აქტში დაფიქსირდა მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო მონაცემები: დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.052 (რეგისტრაციის №882015578845, მომზადების თარიღი: 12.10.2015 წ; საკადასტრო კოდით: #01.14.06.006.052, ფართობი – 8134 კვ.მ.).

ვინაიდან საქმის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოხდა მიწის ნაკვეთის განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირება, სამსახურის მიერ 2016 წლის 03 თებერვლის N51 ბრძანებით განხორციელდა ტექნიკური შეცდომის გასწორება (იხ. დანართი), ასევე განახლებული საკადასტრო მონაცემები დაფიქსირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 03 თებერვლის N124 ბრძანებაშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი საკითხი 2015 წლის 25 აგვისტოს №2156339 ბრძანებაში ცვლილებას აღარ საჭიროებს, აქტში ცვლილების 2016 წლის 27 იანვრის №2401931ბრძანება განხილულ უნდა იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.08.2015 წ. №2156339 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან; ქალაქთბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2401931ბრძანებასთან; ტექნიკური შეცდომის გასწორების 2016 წლის 03 თებერვლის N51 ბრძანებასთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 03 თებერვლის N124 ბრძანებასთან ერთად.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი 2017 წლის 17 ოქტომბრის AR1549322 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.